

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

**პირადი არქივების
აღწერილობა**

1

თბილისი 2008

გამოცემა ეძღვნება ელენე მეტრეველის
90 წლის იუბილეს

სერიის მთავარი რედაქტორი

ბუბა კუდავა

სერიის სარედაქციო კოლეგია

ზაზა ალექსიძე, თამარ გეგია, შალვა გლოველი,
გიორგი კალანდია, გოჩა საითიძე, ეთერ ქავთარაძე,
მიხეილ ქავთარია

ISSN 1987-5304

ISBN 978-99940-59-91-1

© ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2008.

ელენე მეტრეველის
პირადი არქივის
აღწერილობა

შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს
მაია მამაცაშვილმა და ეთერ ქავთარაძემ

მეორე, შესწორებული გამოცემა

წიგნში წარმოდგენილია აკადემიკოს ელენე მეტრეველის პირადი საარქივო ფონდის აღწერილობა. არქივი, ბიბლიოთეკასთან ერთად, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს (იმჟამად – ხელნაწერთა ინსტიტუტს) 2003 წელს გადასცა ელენე მეტრეველის ოჯახმა.

საარქივო მასალა გაარჩიეს **ელენე კელენჯერიძემ**, **მაია მამაცაშვილმა** და **ეთერ ქავთარაძემ**. აღწერილობა შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს **მაია მამაცაშვილმა** და **ეთერ ქავთარაძემ**.

ფრანგულენოვანი მასალა დაამუშავა **ცისანა ბიბილეიშვილმა**, გერმანულენოვანი – **თამარ ჭუმბურიძემ**.

აღწერილობაში მასალა დალაგებულია თემატურად: ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა, შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა, მიწერ-მოწერა და სხვადასხვა. ახლავს პირთა, გეოგრაფიულ სახელთა და თემატური საძიებლები.

რედაქტორი **ელენე ჩაგელიშვილი**

საზოგადოებას კარგად მოეხსენება, რომ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (ყოფილ ხელნაწერთა ინსტიტუტში) ქართულ და უცხოურ ხელნაწერ წიგნთა თუ ისტორიულ დოკუმენტთა უმდიდრესი კოლექციაა დაცული. თუმცა ასევე კარგად არ არის ცნობილი, რომ იგი საქართველოში ერთ-ერთი ცენტრალური დანესებულებაა, რომელიც პირადი არქივების შენახვის, კატალოგიზაციის, გამოცემისა და კვლევის საქმეს ემსახურება.

1990-იანი წლებიდან მოკიდებული, წლიდან წლამდე მატულობს XIX-XX საუკუნეების საარქივო მასალის მიმართ ინტერესი. მისასაღმებელია, რომ ამ მხრივ მეცნიერთა ახალგაზრდული ნაწილიც ძალზე აქტიურია.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ქართველ თუ უცხოელ მოღვაწეთა 100-ზე მეტი პირადი არქივია დაცული. მათი დიდი ნაწილი კატალოგიზირებულია და მისანვდომია ცენტრში სამუშაოდ მოსული ყველა დაინტერესებული სპეციალისტისათვის. თუმცა გარკვეულ სიძნელეებს ქმნის ის გარემოება, რომ ჯერ მხოლოდ სამი არქივის (ექვთიმე თაყაიშვილის, ივანე ჯავახიშვილისა და კორნელი კეკელიძის) აღწერილობაა გამოცემული.

დღეს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ერთ-ერთ პრიორიტეტად ბოლო პერიოდში შემოსული არქივების დამუშავება, საარქივო კოლექციის ელექტრონული კატალოგების შექმნა და აღწერილობების გამოცემა გვესახება. 2007 წელს ცენტრის თანამშრომელთა ჯგუფმა 14 დამუშავებული არქივის კატალოგიზაცია დაიწყო. სამუშაო, რომლის დიდი ნაწილი უკვე დასრულებულია, ფონდ „გეოსკრიპტის“ მხარდაჭერით მიმდინარეობდა. ვსარგებლობ შემთხვევით და დიდ მადლობას ვუძღვნი ფონდის წარმომადგენელს საქართველოში ლიკა მამაცაშვილს და ჯგუფის ხელმძღვანელს ეთერ ქავთარაძეს.

ვფიქრობთ, აუცილებელია გაგრძელდეს პირადი არქივების აღწერილობების გამოცემა. უფრო მოსახერხებელი იქნება, თუ ამას სერიის სახე ექნება. სიმბოლურია, რომ ახალ სერიას ქალბატონი ელენე მეტრეველის ძალზე საინტერესო არქივის აღწერილობის გამოცემით ვიწყებთ. ამ პიროვნებამ დიდი ამაგი დასდო არა მხოლოდ ქართულ ფილოლოგიურ და საისტორიო მეცნიერებას, არამედ ხელნაწერთა ინსტიტუტის, როგორც ერთ-ერთი მთავარი ქართველოლოგიური ცენტრის, ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

სარჩევი

შემდგენლებისგან	7
I. ელენე მეტრეველის ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა.....	9
II. შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა	
1. ათონის კულტურულ-საგანმანათლებელი კერის კვლევასთან დაკავშირებული მასალა	47
2. ხელნაწერთა აღწერილობები	57
3. პალესტინა-სირიის სიძველეთა კვლევასთან დაკავშირებული მასალა.....	59
4. ლიტურგიკა – ჰიმნოგრაფია.....	62
5. გრიგოლ ნაზიანზელის კვლევასთან დაკავშირებული მასალა.....	68
6. რეცენზიები.....	70
7. სიტყვები და გამოსვლები.....	70
8. სხვადასხვა ხასიათის შრომები და მასალები	71
III. მიმონერა	
1. ელენე მეტრეველის წერილები სხვადასხვა პირთან.....	83
2. წერილები ელენე მეტრეველთან	169
IV. სხვადასხვა	398
საძიებლები	
პირთა საძიებელი.....	409
გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი	425
თემატური საძიებელი	429

შემდგენელისგან

ელენე მეტრეველი (1917.13.XII – 2003.4.III) დაიბადა ზესტაფონში პედაგოგების ოჯახში. 1935 წელს დაამთავრა თბილისის № 14 საწიმიშო სკოლა და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1944-1946 წლებში მუშაობდა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

1946 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „რამდენიმე საკითხი ნიჰამისა და რუსთაველის ლიტერატურული ურთიერთობიდან“, ხოლო 1957 წელს – სადოქტორო დისერტაცია „ტიმოთე გაბაშვილის მიმოსვლა“.

1946 წელს მუშაობა დაიწყო ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. იმავდროულად მიჰყავდა ძველი ქართული ლიტერატურის კურსი ყოფილი პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1958 წლიდან ხელმძღვანელობდა ახლადდაარსებული ხელნაწერთა ინსტიტუტის არქეოგრაფიის განყოფილებას, 1968-1988 წლებში ამავე ინსტიტუტის დირექტორია. 1988 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის მრჩეველი.

1974 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1983 წელს კი – ნამდვილ წევრად.

იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის არქეოგრაფიისა და არქივთმცოდნეობის კომისიის წევრი. ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოგრაფიულ კომისიას. მონაწილეობდა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში. იყო საქართველოსა და საბჭოთა კავშირის მასშტაბით ჰუმანიტარული პრობლემების კვლევით დაინტერესებული მრავალი კომისიისა და სამეცნიერო საბჭოს წევრი. 1994 წელს აირჩიეს თიუბინგენის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის საპატიო დოქტორად.

აქტიურად თანამშრომლობდა საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი ურთიერთობა ბიზანტიის ისტორიისა და ცივილიზაციის პარიზის ინს-

ტიტუტთან, რომელმაც გამოსაცემად მოამზადა ათონის ბერძნული აქტები. ამ ინსტიტუტის თხოვნით ბერძნული აქტების ქართული მინაწერები გაშიფრა, შეისწავლა და გამოსაცემად მოამზადა ე. მეტრეველმა. თანამშრომლობდა, აგრეთვე, კოდიკოლოგიური და დიპლომატიკური კვლევის ძლიერ ცენტრთან ტექსტების ძიებისა და ისტორიის პარიზის ინსტიტუტთან.

ე. მეტრეველის მეშვეობით დასაბამი მიეცა ხელნაწერთა ინსტიტუტისა და ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის თანამშრომლობას. ფერარ გარიტის ინიციატივით იგი ჩაერთო საერთაშორისო პროგრამაში, რომლის მიზანი იყო გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კორპუსის მომზადება. ხელმძღვანელობდა ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფს, რომელიც მუშაობდა გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართული თარგმანების გამოცემაზე.

წლების განმავლობაში იკვლევდა საზღვარგარეთის ქართული სამნიგნობრო კერების ისტორიას, რასაც შედეგად მოჰყვა მრავალი სამეცნიერო სტატია და ფუნდამენტური ნაშრომები: „მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის“, „ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან“ და „ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი“.

ქართული სასულიერო მწერლობის დარგებიდან ე. მეტრეველი განსაკუთრებული ინტერესით იკვლევდა ადრებიზანტიური პერიოდის ორიგინალურ ჰიმნოგრაფიას. ამ კვლევის შედეგია მისი „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ და „უძველესი იადგარი“ ავტორთა კოლექტივთან (ლილი ხევსურიანი, ცაცა ჭანკიევი) ერთად. „უძველესმა იადგარმა“ 1994 წელს საქართველოს სახელმწიფო პრემია დაიმსახურა.

დიდი ღვაწლი მიუძღვის ხელნაწერთა აღწერილობების გამოცემაში. მუშაობდა ხელნაწერთა აღწერილობის თეორიულ საკითხებზეც. მისი ნაშრომები საქართველოს გარდა იბეჭდებოდა მსოფლიოს ცნობილ სამეცნიერო ცენტრებში, რამაც საერთაშორისო აღიარება მოუტანა.

ელენე მეტრეველის მოღვაწეობის ყველა ეს ასპექტი ნათლად დაასახული მის მდიდარ პირად საარქივო ფონდში.

ელენე მეტრეველის გიობრაზიის და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. თბილისის მე-14 სანიმუშო საშუალო სკოლის დახასიათება, გაცემული ე. მეტრეველის სახელზე.

1935 წ. 28 ივნისი, ნაბეჭდი, ასლი, 1 ფ.

2. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომი, გაცემული ე. მეტრეველის სახელზე.

1940 წ., თბილისი, ქართულ და რუსულ ენებზე, ახლავს ასლი, 1 ცალი, 1 ფ.

3. საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს № 3 მუსიკალური სკოლის ატესტატი, გაცემული ე. მეტრეველის სახელზე.

1942 წ., რუსულ ენაზე, 1 ფ.

4. ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორის გ. ხარაულის ბრძანება ე. მეტრეველის ხელფასის შესახებ.

1944 წ. 8 დეკემბერი, ასლი, 1 ფ.

5. ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომი, გაცემული ე. მეტრეველის სახელზე. იქვე ამონაწერი სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმიდან და დიპლომის ასლი.

1946 წ., რუსულ ენაზე, 1 დიპლომი, 2 ფ.

6. ამონაწერი მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1953 წლის 7 დეკემბრის სხდომის ოქმიდან ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ე. მეტრეველის უფროს მეცნიერ თანამშრომლად დამტკიცების შესახებ.

პირი: გიორგი ძონენიძე.

1953 წ. 22 დეკემბერი, ნაბეჭდი, 1 ფ.

7. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ატესტატი, გაცემული ე. მეტრეველის სახელზე.

1954 წ. 27 მარტი, მოსკოვი, რუსულ ენაზე, ახლავს ასლი, 1 ატესტატი, 1 ფ.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის ი. რუხაძის მიმართვა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილების ხელმძღვანელს ი. ორბელს.

სთხოვს, მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ე. მეტრეველი დაუშვან მათ ფონდებზე სამუშაოდ სამეცნიერო თემაზე „XVIII-XIX საუკუნეების ქართველი მოგზაურები“.

1957 წ. 4 დეკემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ოფიციალურ ბლანკზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

9. მეცნიერებათა დოქტორის დიპლომი, გაცემული უმაღლესი საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით ე. მეტრეველის სახელზე. იქვე ამონაბეჭდი უმაღლესი საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმიდან და დიპლომის ასლი.

1958 წ. 18 იანვარი, რუსულ ენაზე, 1 დიპლომი, 2 ფ.

10. საზოგადოება „ცოდნას“ საწევრო ბილეთი № 3516583, გაცემული ე. მეტრეველის სახელზე.

1958 წ. 8 ნოემბერი, 1 ცალი.

11. ამონაწერი აღმოსავლეთმცოდნეთა XXV საერთაშორისო კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომის ოქმიდან. ეხება ე. მეტრეველის მოხსენებას.

პირი: ი. დიაკონოვი.

1959 წ. 22 სექტემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

12. ნ. პიგულევსკაიას წერილი ვოლკოვს. სთხოვს დაეხმაროს ე. მეტრეველს პალესტინაში დაცული ქართული ხელნაწერების გაცნობაში.

1960 წ. 9 სექტემბერი, ლენინგრადი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

13. საახალწლო მილოცვები ე. მეტრეველს (ჟ. კადაიცივის, ბ. ფონკინის, ლ. ბერლოვსკაიას, ლ. ჟუკოვსკაიას, ს. ლაფარიანის, დ. ლიხაჩოვის, ი. ბრაგინსკის, ლ. კოვტუნის, ი. ლებედევას, ლ. ხაჩიკიანის, ა. ინაიშვილის, ა. მეტრეველის, ფ. ლილიენფელდის, ვ. კარგამანოვის, კ. შმიდტის და სხვათა).

1965-1991 წ.წ. ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე, 103 ფ. 25 კ.

14. მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიო-
თეკის მკითხველის ბილეთი, გაცემული ე. მეტრეველის სახელზე.

1967 წ., რუსულ ენაზე, 1 ფ.

15. დადგენილების პროექტი საქართველოს საცავებში დაცული ხელ-
ნაწერების და უცხოეთის ფონდებში დაცული ქართული ხელნაწერების
მიკროფირების ხელნაწერთა ინსტიტუტში თავმოყრის შესახებ. | გვერ-
დზე ე. მეტრეველის მინაწერი: „დადგენილების პროექტი მოხსენების-
თვის, რომელიც წაკითხულ იქნა პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდო-
მაზე 1970 წ. ივნისში“.

[1970 წ., ივნისი], ნაბეჭდი, 2 ფ.

16. საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილე-
ბის ბიუროს დადგენილება იმის თაობაზე, რომ არქეოგრაფიის საერთა-
შორისო კონგრესისთვის მომზადდეს კოლექტიური ნაშრომი „პალეო-
გრაფიის პრობლემები სსრკ-ში“. რედკოლეგიაში შეყვანილია ე. მეტრე-
ველი.

პირი: ა. ლიუბლინსკაია, ვ. რომანოვა, ლ. ჟუკოვსკაია, ს. შმიდტი, ე. გრანს-
ტრემი, დ. ხაჩიკიანი, ლ. ჩერეპნინი, ე. ჟუკოვი, ა. ჩუბარინი.

1970 წ. 15 ნოემბერი, მოსკოვი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

17. ატესტატი, გაცემული ე. მეტრეველის სახელზე პროფესორის სამეც-
ნიერო წოდების მინიჭების შესახებ. ახლავს ამონაწერი „BAK“-ის სხდო-
მის ოქმიდან და 2 ცალი ასლი.

1970 წ. 17 დეკემბერი, მოსკოვი, რუსულ ენაზე, 1 ატესტატი და 3 ფ.

ატესტატის თარიღია 1971 წ. 12 თებერვალი.

18. არქეოგრაფიული კომისიის სახელით უცნობის (არ იკითხება) წე-
რილი ე. მეტრეველს.

ატყობინებს, რომ კრებული შევა 1972 წლის გეგმაში. სთხოვს აცნობოს,
ვის წარადგენს ხელნაწერთა ინსტიტუტიდან არქეოგრაფიული კომისიის
რედაქციაში.

პირი: მზექალა შანიძე, ს. [შმიდტი].

1971 წ. 30 მარტი, მოსკოვი, რუსულ ენაზე, 1 ფ., 1 კ.

19. გერმანიის კვლევითი საზოგადოების შეტყობინება ე. მეტრეველს.
აცნობებენ, რომ მიიღეს გაგზავნილი წიგნები.

1971 წ. 14 დეკემბერი, ბონი, გერმანულ და

რუსულ ენებზე, ნაბეჭდი, ბლანკზე. 1 ფ., 1 კ.

20. ფ. მირაბელის (CNRS) შეტყობინება ე. მეტრეველს.

აცნობებს, რომ პარიზში მივლინებისთვის ე. მეტრეველი მიიღებს სტიპენდიას 1 თვით (1972 წლის 20 მარტიდან) სსრკ მეცნიერებათა აკადემიასთან შეთანხმებული გაცვლის წესის ფარგლებში.

1972 წ. 20 მარტი, პარიზი, ფრანგულ ენაზე,
ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ.

21. ე. მეტრეველის მიმართვა მეცნიერებათა აკადემიის უცხოეთის განყოფილების ხელმძღვანელს ჯემალ აკობიას.

სთხოვს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ პრაქტიკული ნაბიჯი გადადგას პარიზში ქართველთა კოლონიაში დაცული სახელმწიფო არქივის მოსაპოვებლად.

პირი: ლ. ფალავა.

1972 წ. 28 აპრილი, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 2 ფ.

22. ე. მეტრეველის მიმართვა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ო. გიგინეიშვილს.

აცნობებს, რომ პარიზში ყოფნის დროს ნ. და კ. სალიებმა ხელნაწერთა ინსტიტუტს გადასცეს მ. თარხნიშვილის და მ. წერეთლის არქივის მასალები. სთხოვს, მიიღოს ზომები ამ არქივების საქართველოში ჩამოტანისთვის საჭირო ნებართვის მისაღებად.

1972 წ. 9 მაისი, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ.

23. რომის ნაციონალური ბიბლიოთეკის თანამშრომელთა მადლობის წერილი ე. მეტრეველს მისი ნაშრომის („ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“) გაგზავნისთვის. აცნობებენ, რომ მალე დაიბეჭდება მათ ჟურნალში რეცენზია ამ ნაშრომზე.

პირი: ლ. ტარდო.

1972 წ. 8 აგვისტო, რომი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

24. რ. სირაძის რეცენზია „ფუძემდებლური ნაშრომი“ ე. მეტრეველის ნიგნზე „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“. ამონაჭერი გაზეთიდან „ლიტერატურული საქართველო“.

1972 წ. 3 ნოემბერი, 1 ფ.

25. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილებასთან არსებული არქეოგრაფიული კომისიის მიმართვა ე. მეტრეველს.

აცნობებენ, რომ კრებული „პალეოგრაფიული პრობლემები საბჭოთა კავშირში“ შეტანილია 1973 წლის საგამომცემლო გეგმაში და სთხოვენ დროზე წარმოადგინონ სტატია ქართული პალეოგრაფიის შესახებ. ხელს აწერს ს. შმიდტი.

1972 წ. 15 ნოემბერი, მოსკოვი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

26. ხელნაწერთა ინსტიტუტის 1972 წლის მუშაობის ანგარიში. ხელს აწერენ ე. მეტრეველი და სწავლული მდივანი გ. ნინუა.

1972 წ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 7 ფ.

27. ე. მეტრეველის მოხსენება, წაკითხული სსსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე ინსტიტუტის საქმიანობისა და პერსპექტივის შესახებ.

[1972 წ.], ნაბეჭდი, 5 ფ.

28. აღმოსავლეთმცოდნეობის საერთაშორისო კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის წერილი ე. მეტრეველს.

სთხოვენ მის მოხსენებაში გამოყენებულ ტერმინთა და საკუთარ სახელთა ტრანსკრიფციებისა და მოხსენების დამატებითი ცალების გაგზავნას.

1973 წ. 10 იანვარი, მოსკოვი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ., 1 კ.

29. მონვევა ორიენტალისტთა XXIX კონგრესზე პარიზში ე. მეტრეველის სახელზე. ხელს აწერენ ფ. ფილიოზა და ი. ერვუე. კონვენტზე არის ე. მეტრეველის მინაწერი „რა სანყენია, რომ ვერ მივდივარ. 1973 წ. 24 ივნისი.“.

1973 წ. 5 ივნისი, პარიზი, ფრანგულ ენაზე, სტამბურად ნაბეჭდი, 1 ფ., 1 კ.

30. ე. მეტრეველის წერილი ჟურნალ „Bollettino della Baolia greca di grottafazzata“-ს რედაქტორს.

მადლობას უხდის ამ ბიულეტენში თავისი წიგნის („ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“) შესახებ რეცენზიის გამოქვეყნების გამო.

პირი: პ. პავლიცი

1973 წ. 24 ივლისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ., 1 კ.

31. ე. მეტრეველის მიმართვა სსსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ი. ვეკუას.

აცნობებს, რომ სამსახურიდან გაათავისუფლა ინსტიტუტის თანამშრომელი მ. ვარაზაშვილი შეუწყნარებელი საქციელის გამო.

1973 წ. 8 აგვისტო, მანქანაზე ნაბეჭდი, 2 ფ.

32. სსსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ი. ვეკუას წერილი ე. მეტრეველს. აცნობებს, რომ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ აირჩია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

1974 წ. 3 აპრილი, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ., 1 კ.

33. ლონგინოზ სუმბაძის წერილი ე. მეტრეველს. ულოცავს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად არჩევას.

[1974 წ.] აპრილი, 1 ფ., 1 კ.

34. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის მონმობა, გაცემული ე. მეტრეველის სახელზე. ხელს აწერს აკადემიის პრეზიდენტი ი. ვეკუა.

1974 წ., ქართულ და რუსულ ენაზე, 1 ცალი.

35. ე. მეტრეველის განცხადება სსსრ მეცნიერებათა აკადემიის საბინაო კომისიის თავმჯდომარის ე. ხარაძისადმი საბინაო პირობების გაუმჯობესების შესახებ.

1975 წ. 21 ივნისი, ნაბეჭდი, 1 ფ.

36. ა. პ. ალექსანდროვის მილოცვა ე. მეტრეველს. ულოცავს მაღალი სამთავრობო ჯილდოს მიღებას.

1976 წ. 26 აპრილი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

37. ი. ვეკუას წერილი ე. მეტრეველს. ულოცავს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებას.

1976 წ. 27 აპრილი, ნაბეჭდი, 1 ფ.

38. საქართველოს მთავარი საარქივო სამმართველოს სამეცნიერო საბჭოს წევრის მონმობა (№ 407), გაცემული ე. მეტრეველის სახელზე. ხელს აწერს სამმართველოს უფროსი ვ. კაჭარავა.

1976 წ. 1 სექტემბერი, 1 ცალი.

39. მონმობა ე. მეტრეველის ი. ჯავახიშვილის 100 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო მედლით დაჯილდოების შესახებ.

1976 წ. 5 ოქტომბერი, თბილისი, 1 ცალი.

40. სსსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო სიგელი, გაცემული ე. მეტრეველის სახელზე სსსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ. ხელს აწერს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პავლე გილაშვილი.

1977 წ. 3 იანვარი, 1 სიგელი.

41. მიუნსტერის უნივერსიტეტისა და ახალი აღთქმის ტექსტის კვლევის ინსტიტუტის მიერ 1977 წლის 18 ოქტომბერს ჩასატარებელი სემინარის აფიშა. ე. მეტრეველის მოხსენება: „Die illustration der georgischen Bibelhandschriften und ihr Beitrag zur Erforschung der kulturellen Beziehungen zur Byzanz und zum christlichen Orient“.

პირი: ჰოფმანი, დ. ალანდი.

1977 წ. 18 ოქტომბერი, გერმანულ ენაზე, 1 ცალი.

42. მიუნსტერის უნივერსიტეტსა და ახალი აღთქმის კვლევის ინსტიტუტში ე. მეტრეველის მოხსენებაზე დასასწრები მოსაწვევი ბარათი.

1977 წ. 18 ოქტომბერი, გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი, 5 ცალი.

43. მიუნსტერის უნივერსიტეტისა და ახალი აღთქმის ტექსტის კვლევის ინსტიტუტის მინვევა ე. მეტრეველის სახელზე.

სთხოვენ სემინარზე წაიკითხოს მოხსენება.

1977 წ. 18 ოქტომბერი, გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი.

44. გაზეთი „Munsterischer Anzeiger“, 1977 წლის 19 ოქტომბერი. გამოქვეყნებულია ე. მეტრეველის ფოტო და ინფორმაცია, რომ ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა მიუნსტერში წაიკითხა მოხსენება და მიემგზავრება ბონში მოხსენების წასაკითხად.

45. თსუ გამომცემლობის მიმართვა ი. ჯავახიშვილის თორმეტტომეულის მთავარი სარედაქციო კომისიის წევრს ე. მეტრეველს.

განსახილველად უგზავნიან I ტომის წინასიტყვაობის პროექტს.

ხელს აწერს გამომცემლობის დირექტორი ვ. გამყრელიძე.

1977 წ. 29 ნოემბერი, ნაბეჭდი, 12 ფ.

46. გაზეთი „Munstersche Zeitung“, 1977 წლის 19 ოქტომბერი. გამოქვეყნებულია ე. მეტრეველის და დ. ალანდის ფოტო. აგრეთვე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ე. მეტრეველმა უნივერსიტეტსა და ინსტიტუტში წაიკითხა მოხსენება.

47. ბონის უნივერსიტეტის ენათმეცნიერების ინსტიტუტის აფიშა 1977 წლის ოქტომბერში ჩასატარებელი ლექციების ციკლის შესახებ. 20 ოქტომბერს დანიშნულია ე. მეტრეველის მოხსენება. „Der Beitrag der illuminierten georgischen handschriften zur Erforschung der kulturellen Beziehungen Georgiens zur Byzanz und zum christlichen Orient“.

პირი: კონსტანტინე ნერეთელი, კ. შმიდტი, ლ. ეტლინგერი, ფრომელი.

1977 წ., გერმანულ ენაზე, 1 ც.

48. მოწვევა ე. მეტრეველის სახელზე გერმანიის აღმოსავლეთმცოდნეთა ყრილობაზე დასასწრებად. საორგანიზაციო კომიტეტის სახელით ხელს აწერს ვ. დ. ფიშერი (W. D. Fischer).

1977 წ. 3 ოქტომბერი, 1 ფ. 1 კ.

49. ხელნაერთა ინსტიტუტის კედლის გაზეთი, მიძღვნილი ე. მეტრეველის 60 წლისთავისადმი.

პირი: მ. შანიძე, თ. ბარამიძე, ლ. მესხიშვილი.
1977 წ., 1 ფ.

50. უბის ნიგნაკი ჩანანერებით კანადასა და ამერიკაში მოგზაურობის შესახებ; ჩანანერები ვ. ჯობაძეზე.

1978 წ. 20 ივლისი, 29 ფ.

51. ჟ. მირაბელის წერილი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგეს კულაკოვს; ასლი ჟ. დაგრონს. ე. მეტრეველის 3 თვით პარიზში „ივირონის აქტებზე“ სამუშაოდ მიწვევის შესახებ.

ტოპონიმი: პარიზი, თბილისი, ათენი,
1978 წ. 27 ივლისი, პარიზი-მოსკოვი, ფრანგულ ენაზე,
ნაბეჭდი, ასლი, 2 ფ., 1 კ.

52. თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის ე. მეტრეველის ნდობით აღჭურვილი პირის ლ. ხევსურიანის წარდგინება.

[1978 წ.], ლ. ხევსურიანის ავტოგრაფი, შავი, 7 ფ.

53. „Deutsche Forschungsgemeinschaft“-ის მიმართვა ე. მეტრეველს.

ატყობინებენ, რომ მიიღეს სინური კოლექციის ქართული ხელნაწერების აღწერილობის I ნაწილი.

1979 წ. 27 აპრილი, რუსულ ენაზე, 1 ფ. 1 კ.

54. ე. მეტრეველის მიმართვა სსსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს ი. აბაშიძეს.

აცნობებს, რომ პარიზში მუშაობს კომისია 1917-21 წლების საქართველოს სახელმწიფო არქივის ადგილსამყოფელის შესარჩევად. სწერს, რომ საჭიროა გარკვეული ზომების მიღება, რათა ეს არქივი საქართველოს გადმოეცეს.

პირი. ო. გიგინეიშვილი.
1979 წ. 30 მაისი, ნაბეჭდი, 2 ფ.

55. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული მსოფლიო კულტურის ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივნის ტ. კნიაზევსკაიას მიმართვა ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორს ე. მეტრეველს.

აცნობებს, რომ გამოდის „წელიწადული“. გამოთქვამს სურვილს, რომ ხელნაწერთა ინსტიტუტმაც მიიღოს მონაწილეობა, რათა ამ კრებულში ქართული კულტურაც იყოს წარმოდგენილი.

პირი: დ. ლიხაჩოვი, ბ. პიოტროვსკი, ბ. რიბაკოვი.

1979 წ. 18 ივლისი, მოსკოვი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ. 1 კ.

56. ბარტელინკის (Bartelink), ხრისტერნის (Christern), დევიდსის (Davids), ვედერის (Veder) ცირკულარული წერილი ე. მეტრეველს.

აცნობებენ, რომ 1981 წლის 6-8 აპრილს ტარდება პალეოქრისტიანული პატერიკებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი. უგზავნიან პროგრამას და მონაწილეთა სიას. სთხოვენ მოხსენების სათაურს.

1979 წ. 6 ნოემბერი, ნიჟმეგენი, 2 ფ. 1 კ.

57. ე. მეტრეველის დასკვნა ქართულ ენციკლოპედიაში შესატანი სტატიის („ქართული მწერლობა“) შესახებ.

პირი: ლ. ავალიანი, ს. ცაიშვილი, ა. ბარამიძე.

1980 წ. 24 მარტი, ნაბეჭდი, ხელმოწერილი.

58. სამეცნიერო კვლევათა ეროვნული ცენტრის საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის ხელმძღვანელის ჟ. მირაბელის (Mirabel) მიწვევა ე. მეტრეველს.

1980 წლის 14 ნოემბრიდან ორი თვით იწვევს CNRS-ში სამუშაოდ.

1980 წ. 6 ნოემბერი, პარიზი, ფრანგულ ენაზე,

ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ., 1 კ.

59. ბ. უტიეს წერილი ჟ. დაგრონისადმი. სწერს, რომ ე. მეტრეველს დაათვალიერებინებს პარიზის ღირსშესანიშნავ ადგილებს.

ტოპონიმი: შარტრი, სანსი, სოლემი.

1980 წ. 13 ნოემბერი, სოლემი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ., 1 კ.

60. ბიზანტინისტთა XVI საერთაშორისო კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის ჰ. ჰუნგერის და მდივნების რ. ვალტერის და ვ. ჰორანდნერის ცირკულარული წერილი ე. მეტრეველს.

აცნობებენ, რომ უგზავნიან კონგრესის (ჩატარდება ვენაში 1981 წლის 4-10 ოქტომბერს) პროგრამას და ანკეტას. სთხოვენ ანკეტის შევსებას. ახლავს საანკეტო ფურცელი და პროგრამა.

1980 წ. ნოემბერი, ვენა, ფრანგულ ენაზე, ნაბეჭდი.

61. ჟ. მოსეის და გ. ლაფონტენის წერილი სსსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ე. ხარაძეს. ასლი ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორს ე. მეტრეველს. წერილი ეხება საერთაშორისო სამეცნიერო პროგრამაში (გრიგოლ ნაზიანზელის ბერძნული ტექსტები და მათი აღმოსავლური ვერსიები) ხელნაწერთა ინსტიტუტის ჩართვას. აცნობენ სამუშაო გეგ-

მას და სთხოვენ შეთავაზებული წინადადების დამტკიცებას. ახლავს 6 ხელნაწერის სია, რომელთა მიკროფირების მიღებაც სურთ.

პირი: სიჩერლი.

ტოპონიმი: ლუვენ-ლა-ნევი, ოქსფორდი, ბონი.

1980 წ. 17 დეკემბერი, ლუვენ-ლა-ნევი-თბილისი, ფრანგულ ენაზე, ნაბეჭდი, 4 ფ.

62. უბის წიგნაკი ჩანაწერებით პარიზში განეული მუშაობის შესახებ.

პირი: რ. თაბუკაშვილი, გ. ლაფონტენი, ჟ. გარიტი, მ. ვ. ესბროკი, ჟ. პ. მაე, ა. ჯაკობი, დ. პაპახრისანთუ, ბ. უტიე, ნ. და კ. სალიები.

1980 წ. 18 ნოემბერი, 17 დეკემბერი, ავტოგრაფი, 27 ფ.

63. ე. მეტრეველის კარდიოგრამა და ექიმ რ. პიკარდის დანიშნულება.

1980 წ. 12 დეკემბერი, პარიზი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

64. საქმიანი დოკუმენტები ნ. და კ. სალიების მიერ ხელნაწერთა ინსტიტუტისთვის გადმოცემული პირადი ნივთებისა და ბიბლიოთეკის ინვენტარიზაციის შესახებ.

1975-1980 წ.წ. ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე, ნაბეჭდი, 62 ფ., 1 კ.

65. განათლების, უმაღლესი სკოლის და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელი, გაცემული ე. მეტრეველის სახელზე ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. ხელს აწერს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე დ. იოსელიანი.

1981 წ. 8 მარტი, 1 სიგელი.

66. ე. მეტრეველის ტექსტი სსსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე წარსადგენად ნაზიანზელის ჯგუფისთვის ორი სამტატო ერთეულის დამატების თაობაზე.

1981 წ. 26 აპრილი, ნაბეჭდი, 2 ფ.

67. ე. მეტრეველის მიმართვა სსსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანს ნ. ლანდიას.

აცნობებს, რომ მიწვეულია ლუვენში (ბელგია) გრიგოლ ნაზიანზელისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმზე. სთხოვს მივლინების გაფორმებას.

1981 წ. 26 მაისი, ნაბეჭდი, ასლი, 1 ფ.

68. ჟ. მოსეის წერილი ე. მეტრეველს.

სწერს, რომ უგზავნის ამონაბეჭდებს და წერილის ასლს ე. ხარაძისადმი.

პირი: გ. ლაფონტენი.

ტოპონიმი: პარიზი.

1980 წ. 20 დეკემბერი, ლუვენ-ლა-ნევი, თბილისი, ფრანგულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

69. ე. მეტრეველის მოხსენება, ნაკითხული თბილისის მე-17 მოწვევის საქალაქო საბჭოს მე-7 სესიაზე.

1981 წ. 16 ივლისი, ნაბეჭდი, ახლავს სესიის დღის წესრიგი, 5 ფ.

70. ჟ. მოსეის და გ. ლაფონტენის წერილი აკადემიის პრეზიდენტს ე. ხარაძეს.

სიხარულს გამოთქვამენ იმის გამო, რომ სსსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. მეტრეველს მათთან თანამშრომლობის ნება დართო. აქვს ე. ხარაძის რეზოლუცია: „აკადემიის წევრ კორესპონდენტს ე. მეტრეველს“.

პირი: ჟ. გარიტი.

1981 წ. 6 სექტემბერი, ლუვენ-ლა-ნევი, თბილისი, ფრანგულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ.

71. ე. მეტრეველის მიმართვა სსსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ე. ხარაძეს.

აცნობებს, რომ გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა საერთაშორისო სერიის საორგანიზაციო კომიტეტს ქართველ ფილოლოგთა ჯგუფმა ხელნაწერთა ინსტიტუტიდან 1981 წლის აგვისტოში გამართულ მორიგ სიმპოზიუმზე უნდა წარუდგინოს გრიგოლ ნაზიანზელის ქართული თარგმანების გამოცემის პროექტი. ამ საკითხთან დაკავშირებით სთხოვს დახმარებას.

პირი: ჟ. გარიტი, გ. ლაფონტენი, ჟ. მოსეი.

[1981 წ.], ავტოგრაფი, შავი, ახლავს ნაბეჭდი ცალი, 9 ფ.

72. სხვადასხვა ღონისძიებაზე დასასწრები მოსაწვევი ბარათები ე. მეტრეველის სახელზე.

პირი: რ. რუხაძე, გ. წერეთელი, ლ. ჯანაშია, ნ. მუსხელიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ბ. ფასიე, გ. კიკნაძე, ო. გიგინეიშვილი, ა. ჩიქობავა, გ. ალიბეგაშვილი, ქ. შარაშიძე, კ. კეკელიძე, ი. ვეკუა.

1981-1998 წ.წ., 57 ფ., 4 კ.

73. ე. მეტრეველის პარიზში მივლინების ანგარიში (1982 წ. 16-20 აპრილი). საუბარია სალიების ანდერძის იმ ნაწილზე, რომელიც შეეხება ხელნაწერთა ინსტიტუტს.

1982 წ. 20 მაისი, ნაბეჭდი, ნასწორები ავტორის მიერ, 1 ფ.

74. ე. მეტრეველის პასუხი სსსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ო. ჩერქეზიას მომართვაზე.

აცნობებს, რომ ვ. ჩაჩანიძის სსსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ზ. პატარიძისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში მოწოდებული ცნობები ვენის საცავებში დაცული ქართული ხელნაწერების შესახებ სიახლე არ არის. ყველა ეს ხელნაწერი ცნობილია ქართველ მეცნიერთათვის და მათი მიკროფირები და ფოტოპირები ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში. იქვე ვ. ჩაჩანიძის აღნიშნული მოხსენებითი ბარათი და ო. ჩერქეზიას მიმართვა ე. ხარაძის და ე. მეტრეველის სახელზე დასკვნის წარმოდგენის თხოვნით.

პირი: ლ. ქაჯაია.

1982 წ. 5 აგვისტო, ნაბეჭდი, 7 ფ.

75. ე. მეტრეველის დახასიათება. ე. მეტრეველის მინაწერებითა და ჩასწორებებით.

[1982 წ.], რუსულ ენაზე, ნაბეჭდი (ორ ცალად), 2 ფ.

76. ე. მეტრეველი – სსსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის კომპლექსი, საპროგრამო დავალება. აქვე ხელნაწერთა ინსტიტუტის კომისიის (ე. ხოშტარია, ლ. ქაჯაია, ვ. ლებანიძე) დასკვნა წარმოდგენილ პროექტებზე და არქიტექტორების ა. ბაქრაძის და ნ. ჯობაძის მოხსენებითი ბარათი საკითხთან დაკავშირებით. აქვს ე. მეტრეველის ხელით მინაწერი: „მივიღე 1982 წლის ნოემბერში“.

[1982 წ.], ნაბეჭდი, 19 ფ.

77. ა. ჩიქოვას მიმართვა სსსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს. მხარს უჭერს ე. მეტრეველის აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევას. აქვეა მისი წერილი ე. მეტრეველთან. სწერს, რომ უგზავნის ამ მიმართვას.

1983 წ. 21 მარტი, 1 ფ., 1 კ.

78. ამონაჭერი გაზეთიდან „Frankfurter Allgemeine Zeitung“ (დ. ალანდის სტატია). აქვს ვ. ჯობაძის მინაწერი: „ძვირფასო დაო ელო, ეს წერილი საინტერესო უნდა იყოს შენთვის. სიყვარულით, საუკეთესო სურვილებით. შენი ვახტანგი“.

1983 წ. 11 აპრილი, 1 ფ.

79. მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსის ა. მანელაშვილის ბარათი ე. მეტრეველს.

საარქივო სამმართველოს თანამშრომელთა სახელით ულოცავს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევას.

1983 წ. 16 მაისი, თბილისი, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ.

80. სსსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ე. ხარაძის მიმართვა ე. მეტრეველს მისი სსსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევის შესახებ. მიმართვას თან ახლავს ამონაბეჭდი სსსრ მეცნიერებათა აკადემიის 13 მაისის საერთო კრების დადგენილებიდან ე. მეტრეველის აკადემიკოსად არჩევის შესახებ.

1983 წ. 18 მაისი, ნაბეჭდი, ე. ხარაძის ხელმოწერით, 2 ფ.

81. ა. თავხელიძის წერილი ე. მეტრეველს. ულოცავს სსსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევას.

1983 წ. 20 მაისი, 1 ფ.

82. ი. [ნაკაშიძის] წერილი ე. მეტრეველს.

ულოცავს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევას.

1983 წ. 21 მაისი, 1 ფ.

83. ე. თარხნიშვილის ბარათი ე. მეტრეველს. ულოცავს აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევას.

1983 წ. მაისი, გორი, ხელმოწერილი, 1 ფ., 1 კ.

84. სამახსოვრო მედალი „თბილისობა 83“, გაცემული ე. მეტრეველის სახელზე.

პირი: გ. გაბუნია, ბ. სარალიძე.

1983 წ. 30 ოქტომბერი, თბილისი, ნაბეჭდი, 2 ფ.

85. სსსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის მონაზობა, გაცემული ე. მეტრეველის სახელზე. ხელმოწერილი აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ე. ხარაძის მიერ.

1983 წ. 13 მაისი, 1 ცალი.

86. რ. ორბელის დეპეშა ე. მეტრეველს. ულოცავს აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევას.

1983 წ., ლენინგრადი, რუსულ ენაზე, 1 ფ.

87. სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის გ. სარქისიანის და განყოფილების ხელმძღვანელის მ. მურადიანის დეპეშა ე. მეტრეველს. ულოცავენ აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევას.

1983 წ., ერევანი, 1 ფ.

88. იერუსალიმის პატრიარქის თეოფანეს სარეკომენდაციო წერილი, რომელიც ნიკიფორე ირბახმა ფილიპე IV გადასცა. აქვს მინაწერი: „ქ-ნ ელოს, უღრმესი პატივისცემით. ჯ. ვათეიშვილი“.

1983 წ. 29 დეკემბერი, ფოტოპირი, ბერძნულ ენაზე, 1 ფ.

89. ნ. და კ. სალიების დეპუტა ე. მეტრეველს. ულოცავენ აკადემიკოსად არჩევას.

[1983 წ.], პარიზი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

90. ე. მეტრეველი – რა იყო საინტერესო მიმდინარე 1983 წელს ხელნაწერთა ინსტიტუტში.

1983 წ., ავტოგრაფი, შავი, 10 ფ.

91. [ა. ბარამიძე] – ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ე. მეტრეველის ძირითად შრომათა დახასიათება. დახასიათება შედგენილია ე. მეტრეველის წარსადგენად სსსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად.

1983 წ., ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 11 ფ.

92. მასალები ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო მუშაობის ანგარიშისთვის მეცნიერებათა აკადემიაში წარსადგენად.

[1983 წ.], ავტოგრაფი, შავი, 15 ფ.

93. სსსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ორმოცდამეათე წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე დასასწრები მოსაწვევი ბარათი. მოწმობა მედლის გადაცემის შესახებ ე. მეტრეველის სახელზე. ხელს აწერს ე. ქემერტელაძე.

1984 წ. 18 მაისი, 2 ფ.

94. ვ. ჯობაძის და გ. ბუკელატის (Buccellati) ცირკულარული წერილი თ. გამყრელიძეს, ო. გიგინიშვილს, ნ. ლომოურს, გ. მელიქიშვილს, ე. მეტრეველს.

მადლობას უხდიან იმის გამო, რომ დათანხმდნენ „ქართული და კავკასიური გამოკვლევების“ სარედაქციო კოლეგიასთან თანამშრომლობაზე. აცნობებენ, რომ გამოსაცემად მზად არის ლლონტის და ჯავახიშვილის „ტრანსკავკასიის ადრეული კულტურა“.

1984 წ. 18 ივნისი, მალიბუ-თბილისი, ინგლისურ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ.

95. სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ოფიციალური წერილი ე. მეტრეველს.

აცნობებენ, რომ ინსტიტუტი ატარებს სამეცნიერო კონფერენციას თემაზე „შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთი და ნათარგმნი ლიტერატურის ძეგლები“. აცნობენ კონფერენციის პირობებს.

1984 წ. 10 სექტემბერი, ერევანი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

96. ე. მეტრეველის მიმართვა მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანს შ. ძიძიგურს.

აცნობებს, რომ ინსტიტუტი შუამდგომლობს, დაისვას ე. მაჭავარიანის ნაშრომის „ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერა“ გამოცემის საკითხი. ადევს შ. ძიძიგურის რეზოლუცია: „განყოფილება შუამდგომლობს“.

1984 წ. 26 სექტემბერი, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ.

97. ზ. უდალცოვას მიმართვა ე. მეტრეველს.

აცნობებს, რომ ბიზანტიის ისტორიის სექტორი საბერძნეთში გასაგზავნად ადგენს საბჭოთა ბიზანტინისტთა 1965-85 წლებში გამოქვეყნებული შრომების ბიბლიოგრაფიას. სთხოვს შეარჩიოს მისი მნიშვნელოვანი ნაშრომების სია და გაგზავნოს ლ. მილოვანოვას სახელზე.

1984 წ. 22 ოქტომბერი, მოსკოვი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

98. ე. მეტრეველი – კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტისთვის ახალი შენობის აშენების უსასრულო ისტორია. ბოლო გვერდზე ე. მეტრეველის ავტოგრაფით: „დაწერილია ე. ხარაძისათვის“,

1984 წ. 22 ივლისი, ნაბეჭდი, 5 ფ.

99. ადრესი ე. მეტრეველს. ირჩევენ ზედა საქარის საპატიო თანასოფლელად. ახლავს მედალი წარწერით: „საპატიო საქარელი“.

1984 წ., 2 ფ.

100. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული პალესტინის საზოგადოების თბილისის განყოფილების თავმჯდომარის ო. ქაჯაიას მიმართვა ე. მეტრეველს.

აცნობებს, რომ იგი დამტკიცებულია ამ საზოგადოების წევრად. აცნობებს საზოგადოების მუშაობის პროგრამას და იწვევენ 16 ნოემბერს საზოგადოების სხდომაზე.

[1984 წ.], ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 2 ფ.

101. უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის ო. გიგინეიშვილის მიმართვა (№ 152) ე. მეტრეველს.

სწერს, რომ ხელნაწერთა ინსტიტუტს უგზავნის ისრაელში მცხოვრებ გ. წინუაშვილის მიერ ფრანცისკანელთა მონასტერში მიკვლეული ისტორიული დოკუმენტების ფრანგული თარგმანის ქსეროასლს.

1985 წ. 14 თებერვალი, ნაბეჭდი, 5 ფ.

102. აქტი ე. მეტრეველის მიერ აღრიცხვისა და ექსპოზიციის განყოფილების ხელმძღვანელის ლ. ქაჯაიას და ისტორიული დოკუმენტების სეიფის მცველის თ. იმნაძისათვის ნ. და კ. სალიების პირადი არქივის გადაცემის შესახებ.

1985 წ. 26 თებერვალი, ნაბეჭდი, 1 ფ.

103. ე. მეტრეველის ჩანაწერები ნ. და კ. სალიების ცხოვრების უკანასკნელი წლების და მათი ანდერძის შესახებ.

პირი: ა. მაე, ჟ. პ. მაე, პ. პეტერსი, რ. მეტრეველი, გ. ციციშვილი

1985 წ. 15 აპრილი, ავტოგრაფი, შავი, 12 ფ.

104. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის გ. ციციშვილის მიმართვა ე. მეტრეველს.

აცნობებს, რომ ინსტიტუტი აპირებს ქართული ლიტერატურის ისტორიის მრავალტომეულის გამოცემას. სთხოვს მონაწილეობის მიღებას მის შედგენაში.

პირი: ც. ქურციკიძე.

1985 წ. 25 ივნისი, ნაბეჭდი, ხელმოწერილი ბლანკზე, 1 ფ.

105. III კავკასიურ კოლოკვიუმზე მიწვევა (ცირკულარული წერილი) ე. მეტრეველს.

1985 წ. 10 ოქტომბერი, ოსლო, ინგლისურ ენაზე, 1 ფ. 1 კ.

106. ბიზანტიის ისტორიის და ცივილიზაციის ცენტრის დირექტორის ჟ. დაგრონის მიმართვა სსსრ მეცნიერებათა აკადემიის საგარეო ურთიერთობათა განყოფილების უფროსს.

სთხოვს ხელი შეუწყოს ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის ე. მეტრეველის პარიზში წასვლას.

პირი: ჟ. ლეფორი.

1985 წ. 25 ნოემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

107. ე. მეტრეველის წინადადებები ხელნაწერთა ინსტიტუტის ადგილმდებარეობის და ახალი კორპუსის აშენების შესახებ. ე. მეტრეველის ხელმოწერით.

2 ეგზემპლარი მცირე სხვაობით.
1985 წ. 9 დეკემბერი, ნაბეჭდი, 6 ფ.

108. გ. მელიქიშვილის მიმართვა ე. მეტრეველს.

აცნობებს, რომ ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის არქივში გამოვლენილია ი. ჯავახიშვილის ხელით ნაწერი ფურცლები და სთხოვს ჩაიბაროს.

1986 წ. 8 აპრილი, ნაბეჭდი, 1 ფ.

109. ტექსტების კვლევის ინსტიტუტის ცირკულარული წერილი ე. მეტრეველს.

აცნობებენ, რომ 1986 წლის 26-28 მაისს აწყობენ მრგვალ მაგიდას და იწვევენ. ახლავს პროგრამა.

1986 წ. 10 აპრილი, პარიზი, ფრანგულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ., 1 კ.

110. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის სარედაქციო კოლეგიის სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის შ. ძიძიგურის მიმართვა ე. მეტრეველს.

სთხოვს დაესწროს სარედაქციო კოლეგიის სამუშაო ჯგუფის სხდომას. გასაცნობად უგზავნის გამოცემის წინასიტყვაობის პროექტს.

1986 წ. 9 ივნისი, ნაბეჭდი, 10 ფ.

111. სოფიის უნივერსიტეტთან არსებული ი. დუიჩევის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის ა. ჯუროვას მიმართვა ე. მეტრეველს.

სთხოვს მონაწილეობა მიიღოს ი. დუიჩევისადმი მიძღვნილ კრებულში.

1986 წ. 20 ოქტომბერი, სოფია, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 2 ფ., 1 კ.

112. თბილისობის ზეიმზე მოსაწვევი ბარათი და პროგრამა ე. მეტრეველის სახელზე.

1986 წ. 25-26 ოქტომბერი, ქართულ და რუსულ ენებზე, ნაბეჭდი, 2 ცალი, 1 კ.

113. უბის წიგნაკი - სხვადასხვა ხასიათის ჩანაწერებით.

1986 წ. 12 ნოემბერი – 1987 წ. 15 ოქტომბერი, 93 ფ.

114. ე. მეტრეველი – საკითხები, რომლებიც უნდა გარკვეულიყო პარიზში ჩემი მივლინების დროს. საფრანგეთში მივლინების (1986 წ. იანვარ-თებერვალი) ანგარიში. ლაპარაკია სალიების წიგნადი ფონდის შევსების საკითხზე.

პირი: ნ. და კ. სალიები, ბ. უტიე, პ. პეტერსი, ბ. მარტენი, გ. შარაშიძე, ჟ. დიუმეზილი, პარი, დ. ელიგულაშვილი-გოტიე, ჟ. პ. მაე, ნ. ტიერი, ე. ხარაძე.
1986 წ., ნაბეჭდი, 5 ფ.

115. ე. მეტრეველის მოხსენებითი ბარათი [მეცნიერებათა აკადემიის უცხოეთის განყოფილების უფროსს] „დუმბარტონ ოქსში“ მის მივლინებასთან დაკავშირებით.

1986 წ., ავტოგრაფი, შავი, 4 ფ.

116. ხელნაწერთა ინსტიტუტის მონაწილეობა №1 გაცემული ე. მეტრეველის სახელზე. ხელს აწერს ე. ხომტარია.

1987 წ. 1 იანვარი, ქართულ და რუსულ ენებზე, 1 ცალი.

117. ე. მეტრეველი – კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის საჭიროებანი. შედგენილია მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების მოთხოვნის პასუხად. ნასწორები ავტორის მიერ.

პირი: ა. თავხელიძე.

1987 წ. 15 იანვარი, ნაბეჭდი, 4 ფ.

118. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საგარეო ურთიერთობათა განყოფილების უფროსის ნ. კახნიაშვილის მიმართვა ე. მეტრეველს. სთხოვს შეატყობინოს, შესაძლებელია თუ არა ჯ. გრიპინი საკონსულტაციოდ მივიდეს ხელნაწერთა ინსტიტუტში. ახლავს ჯ. გრიპინის ანკეტა და შრომების სია.

1987 წ. 10 მარტი, რუსულ ენაზე, ანკეტა და შრომების სია ინგლისურ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 7 ფ.

119. საბჭოთა კავშირში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილების ხელმძღვანელის ე. ზალცვედელის მიმართვა ე. მეტრეველს. აცნობებს, რომ კ. ვაილი 1987 წლის 30 მარტიდან 2 აპრილამდე აპირებს თბილისში ჩასვლას, რათა ფულადი დახმარება გადასცეს ხელნაწერთა ინსტიტუტს.

პირი: დ. ლაშქარაძე, ნ. კაკაბაძე, გ. რამიშვილი, გ. ზაუდერი.

1987 წ. 18 მარტი, მოსკოვი, გერმანულ ენაზე, ახლავს რუსული შემოკლებული ასლი, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 3 ფ. 1 კ.

120. კულტურის საბჭოთა ფონდის საქართველოს რესპუბლიკური განყოფილების დამფუძნებელი კონფერენციის დელეგატის მანდატი № 93 გაცემული ე. მეტრეველის სახელზე.

უთარილო, 2 ფ.

121. სსსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილება ანტონ ბაგრატიონის გარდაცვალების 200 წლისთავის საიუბილეო კომისიის შემადგენლობის შესახებ. კომისიის შემადგენლობაშია ე. მეტრეველი.

1987 წ. 16 აპრილი, ნაბეჭდი, 2 ფ.

122. მიწვევა ბიზანტინისტთა სიმპოზიუმზე „დუმბარტონ ოქსში“ (ვაშინგტონი) ე. მეტრეველის სახელზე.

1987 წ. 20 აპრილი, ვაშინგტონი, ინგლისურ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

123. საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილება (№244) თბილისში 1989 წლის ოქტომბერში V საერთაშორისო სიმპოზიუმის ჩატარების შესახებ.

ე. მეტრეველი საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.

1987 წ. 1 მაისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

124. ე. მეტრეველის წერილი პარიზის ტექსტების კვლევის ინსტიტუტის ბერძნულ სექციას. მადლობას უხდის ბერძნულ ხელნაწერთა 1975 წლის გამოცემის გამოგზავნისათვის.

1987 წ. 26 მაისი, ფრანგულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ.

125. ე. მეტრეველის მიმართვა სსსრ მეცნიერებათა აკადემიის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგეს ნ. კახნიაშვილს.

აცნობებს, რომ ხელნაწერთა ინსტიტუტში 1987 წლის ოქტომბერში სამუშაოდ მონვეულია ფრანგი ბიზანტინისტი ჟ. ლეფორი. ერთობლივი მუშაობის მოცულობის ზრდასთან დაკავშირებით მისი მოწვევა უნდა გადაიტანონ 1988 წლის აპრილისთვის. სთხოვს შუამდგომლობას სათანადო ორგანოებთან.

1987 წ. 4 აგვისტო, ნაბეჭდი, ასლი, 1 ფ.

126. კ. ვაილის წერილი ე. მეტრეველს.

აცნობებს, რომ აქვს ხელნაწერთა ინსტიტუტისთვის გერმანიიდან ფოტოაპარატურის გამოგზავნის საშუალება. სთხოვს, საელჩოს აცნობოს კონკრეტულად რა დანიშნულებისათვის უნდა გამოიყენოს ინსტიტუტმა ხსენებული აპარატურა.

1987 წ. 17 სექტემბერი, მოსკოვი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი,

ხელმოწერილი, 1 ფ. 1 კ.

127. ე. მეტრეველის პასპორტი.

გაცემული 1987 წლის 14 ოქტომბერს.

- 128.** უბის წიგნაკი. საფრანგეთში მივლინების ჩანაწერები.
1987 წ., პარიზი, 1 ცალი, 23 ფ.
- 129.** ჟურნალი „საქართველოს ქალი“ №11, სტატია „ქართველი მეცნიერი ქალები“ ეხება ე. მეტრეველს.
1987 წ., 1 ჟურნალი.
- 130.** ხელნაწერთა ინსტიტუტის ადრესი (შესრულებული ასომთავრულით) ე. მეტრეველის 70 წლისთავთან დაკავშირებით.
პირი: თ. ოთხმეზური, მ. კარანაძე, დ. კლდიაშვილი, ხ. კარტოზია, გ. ოთხმეზური, მ. მაისურაძე, მ. ჩხენკელი, ც. ბიბილეიშვილი, ე. ქავთარაძე, ნ. ხუციშვილი, მ. კვაჭაძე, თ. აბულაძე, ნ. ჩხიკვაძე, მ. მამულაშვილი, დ. სამადბეგიშვილი, ნ. ჩიკვატია, ლ. შათირიშვილი, ნ. კოპალეიშვილი, თ. ებანოიძე, თ. ჭუმბურიძე, ა. მოშიაშვილი, ნ. ენუქიძე, ნ. კილაძე, დ. ლომიძე.
[1987 წ.], 1 ფ.
- 131.** სსსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისა და ენისა და ლიტერატურის განყოფილების ადრესი ე. მეტრეველს. ულოცავენ დაბადების 70 და სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წლისთავს. ხელს აწერენ აკადემიის პრეზიდენტი ა. თავხელიძე, პრეზიდიუმის წევრები და აკადემიკოსები.
1987 წ., 2 ფ.
- 132.** ბლოკნოტი სხვადასხვა ხასიათის ჩანაწერებით (ინსტიტუტის ორგანიზაციული საკითხები, ზოგიერთი მოსაზრება „ბალავარიანზე“, ბიბლიის კრიტიკული ტექსტის გამოცემის შესახებ და სხვა).
1987-1988 წ.წ., ავტოგრაფი, 74 ფ.
- 133.** დავით ჟღენტის ლექსი „აბა, დელია“, მიძღვნილი ე. მეტრეველის დაბადების 70 წლისთავისადმი.
1988 წ. 6 იანვარი, დ. ჟღენტის ავტოგრაფი, 1 ფ.
- 134.** ვ. მარდალეიშვილი – „განძეულის პატრონი“. სტატია ე. მეტრეველზე.
გაზეთი „კომუნისტი“. – № 2. 1988 წ. 27 იანვარი.
- 135.** ც. ქურციკიძე, რ. გვარამია – ეროვნული საქმის დიდი მოამაგე. (ე. მეტრეველის 70 წლისთავთან დაკავშირებით).
გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“.
1988 წ. 29 იანვარი, გაზეთის მე-12 გვ.

136. ი. ბუაჩიძის და ლ. სანიკიძის მილოცვა ე. მეტრეველისადმი. ულოცავენ აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევას.

1988 წ. 12 მარტი, ერთი ხელნაწერი, ერთი ნაბეჭდი, 2 ფ.

137. ა. ჯუროვას მიმართვა ე. მეტრეველს.

აცნობებს, რომ ი. დუიჩევის სახელობის სლავურ – ბიზანტიურ კვლევათა სამეცნიერო ცენტრი იწვევს საზეიმო გახსნაზე, რომელიც შედგება 23-25 სექტემბერს. ა. ჯუროვას ხელმოწერით.

1988 წ. 5 მაისი, სოფია, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ცენტრის ოფიციალურ ბლანკზე, 1 ფ. 1 კ.

138. რომის პატრისტიკული ინსტიტუტის ცირკულარული წერილი საორგანიზაციო კომიტეტის შედგენილობის და 1989 წლის მაისის შეკრებაზე განსახილველი საკითხის მითითებით.

1988 წ. 25 მაისი, რომი, იტალიურ ენაზე, სტამბურად ნაბეჭდი, 3 ფ. 1 კ.

139. ხელშეკრულება დადებული, ერთი მხრივ, ე. მეტრეველს, მეორე მხრივ, ჟ. მოსეის და ბ. კულის შორის ნაზიანზელის XVI სიტყვის ქართული რედაქციების CSCO-ში გამოქვეყნების შესახებ.

1988 წ. 3 ნოემბერი, ფრანგულ ენაზე, ნაბეჭდი, ორ ცალად, 3 ფ.

140. ბ. გენის გზავნილი ე. მეტრეველს. უგზავნის პატრისტიკული კვლევის ცენტრის მორიგ ბიულეტენს.

1988 წ. 10 დეკემბერი, შანტილი, ფრანგულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 2 ფ, 1 კ.

141. სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს დეპუტატის მონაწილეობა №579 გაცემული ე. მეტრეველის სახელზე.

1988 წ. 1 მონაწილეობა.

142. ე. მეტრეველის მოსაზრება ნ. და კ. სალიების ფულადი ფონდის შექმნის შესახებ.

პირი: ზ. გელეყვა.

[1988 წ.], ნაბეჭდი, 3 ფ.

143. არქეოგრაფიული კომისიის თავმჯდომარის ს. შმიდტის მიმართვა ე. მეტრეველს.

სთხოვს შეავსოს არქეოგრაფიული კომისიის წევრის ბარათი და გაუგზავნოს.

[1988 წ.], მოსკოვი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ., 1 კ.

144. ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო საბჭოს წევრთა სია (სიაში შედის ე. მეტრეველი), სამეცნიერო-სარედაქციო საბჭოს წევრთა სია და მთავარი სამეცნიერო რედაქციის 1989-1995 წლების პერსპექტიული გეგმა.

1988 წ., ნაბეჭდი, 11 ფ.

145. სსსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილება (№9) ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ. ე. მეტრეველი არჩეულია საბჭოს წევრად.

1989 წ. 12 იანვარი, ნაბეჭდი, 2 ფ.

146. ქართული შრიფტის კომისიის მიმართვა ე. მეტრეველს.

სთხოვენ დაესწროს ქართული შრიფტის განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილ სხდომას.

1989 წ. 12 თებერვალი, ნაბეჭდი, 1 ცალი.

147. სსსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივნის ლ. გაბუნიას მიმართვა ე. მეტრეველს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საიუბილეო გამოფენისათვის მასალების შეგროვების შესახებ.

1989 წ. 18 აპრილი, ნაბეჭდი, 1 ფ.

148. საერთაშორისო კონფერენციის „ აღმოსავლური ხელნაწერი წიგნი და ბალკანეთი “ მუშაობის პროგრამა. ე. მეტრეველი 12 აპრილის სხდომის თავმჯდომარე და მომხსენებელი („ათონის საალაპე წიგნის ცნობები ბაკურიანებისა და ბაჩკოვოს მონასტრის შესახებ “).

1989 წ. აპრილი, თბილისი, ნაბეჭდი, 4 ფ.

149. „ქართულ-კავკასიური ფონდის“ და „ქართული ფონდის“ პროგრამა. ტექსტი და ფონდის გამგეობათა წევრების სია ოდნავ განსხვავებულია. ორივე ფონდის წევრთა სიაშია ე. მეტრეველი.

1989 წ. მაისი-ივნისი, ნაბეჭდი, 6 ფ.

150. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის ს. ცაიშვილის მიმართვა ე. მეტრეველს.

აცნობებს, რომ მიწვეულია ინსტიტუტთან არსებული ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოს შემადგენლობაში.

1989 წ. 21 ივნისი, ნაბეჭდი, 1 ფ., 1 კ.

151. სსსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის განკარგულება „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესახებ“ დადგენილების შესასრულებლად კომისიის შექმნის თაობაზე. ხელს აწერს ანდრია აფაქიძე.

ე. მეტრეველი - კომისიის წევრი.

1989 წ. 30 აგვისტო, თბილისი, ნაბეჭდი, 7 ფ.

152. უბის წიგნაკი სხვადასხვა ხასიათის ჩანაწერებით.

1989 წ. 20 ოქტომბერი, ავტოგრაფი, შავი, 16 ფ.

153. სამუშაო გეგმა იციკო მომისათვის (ისრაელის საელჩოს წარმომადგენელი), შედგენილი ე. მეტრეველის მიერ. სათაური და თარიღი მინერილია ე. მეტრეველის ხელით.

1989 წ. ოქტომბერი, ავტოგრაფი და ნაბეჭდი, 4 ფ.

154. ჟ. დაგრონის ცნობა იმის შესახებ, რომ ე. მეტრეველი თანამშრომლობს ბიზანტიის ისტორიის და ცივილიზაციის შემსწავლელ ცენტრთან, მონაწილეობს „ივირონის აქტების“ პუბლიკაციაში, სასურველია მასთან თანამშრომლობის გაგრძელება.

1989 წ. 7 ნოემბერი, პარიზი, ფრანგულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

155. ე. მეტრეველის განცხადება სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებული ადგილკომის თავმჯდომარეს ჯ. ლორთქიფანიძეს.

შეუძლებლად მიაჩნია აკადემიის საბიანაო კომისიაში მუშაობა, ვინაიდან პრინციპულად წინააღმდეგია იმ მექანიზმისა, რომლითაც ხდება აკადემიის თანამშრომლებზე ბინების განაწილება.

1989 წ. 16 ნოემბერი, ნაბეჭდი, 1 ფ.

156. პატრისტიკული კვლევის საერთაშორისო ასოციაციის ცირკულარული წერილი ე. მეტრეველს სანევრო შესატანის შესახებ.

1989 წ. 3 დეკემბერი, შანტილი, ფრანგულ ენაზე,

სტამბურად ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 2 ფ., 1 კ.

157. ე. მეტრეველის დეპეშა ედუარდ ტრიიარსკის. აცნობებს, რომ СИБАЛ-ის კონფერენცია თბილისში 24-29 აპრილის ნაცვლად ჩატარდება 1989 წლის 10-14 აპრილს. სწერს, რომ სასურველია მოხსენება იყოს რუსულ ენაზე.

1989 წ., ფრანგულ ენაზე, რუსული თარგმანით, 1 ფ.

158. საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ბიზანტიის ისტორიის სექტორის მიმართვა ე. მეტრეველს. სთხოვენ ბიზანტინისტთა საერთაშორისო

ასოციაციის ბიულეტენისათვის მიაწოდოს ცნობა 1988-1989 წლების შრომების შესახებ.

[1989 წ.], მოსკოვი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ., 1 კ.

159. სსსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილება (№55) ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის გამოცემის შესახებ. სარედაქციო საბჭოს შემადგენლობაშია ე. მეტრეველი.

1990 წ. 8 თებერვალი, ნაბეჭდი, 3 ფ.

160. სსსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილება (№63) წალენჯიხაში სსსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსის კ. სალიას სახლ-მუზეუმის თემატურ-საექსპოზიციო გეგმის შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. ე. მეტრეველი – სამუშაო ჯგუფის წევრი.

პირი: ს. ჯაფარიძე, ზ. დოლიძე, ს. თურნავა, ი. მეგრელიძე, რ. მეტრეველი, ო. სალია, ი. ტაბალუა, ნ. ქაჯაია, გ. შარაძე, გ. შატბერაშვილი, გ. ციციშვილი, ლ. გაბუნია.

1990 წ. 8 თებერვალი, ნაბეჭდი, 2 ფ.

161. სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის გ. სარქი-სიანის წერილი ე. მეტრეველს.

აცნობებს, რომ სომხეთის მეცნიერებათა აკადემია იწვევს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც ეძღვნება მ. ხორენაცის „სომხეთის ისტორიის“ შექმნის თარიღს. სთხოვს შეატყობინოს მოხსენების თემა.

1990 წ. 6 მაისი, ერევანი, რუსულ ენაზე, ბლანკზე ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ., 1 კ.

162. ა. აფაქიძის წერილი ე. მეტრეველს.

აცნობებს, რომ საქართველოს და სომხეთის მეცნიერებათა აკადემიების 1990 წლის შეხვედრაზე გადამწყდა კავკასიის ქრისტიანული ცივილიზაციის ერთობლივი კვლევის საკითხი. სთხოვს აცნობოს ხელნაწერთა ინსტიტუტის დამოუკიდებულება.

1990 წ. 20 აგვისტო, ბლანკზე ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ.

163. „დუმბარტონ ოქსის“ დირექტორის წერილი ე. მეტრეველს.

აცნობებენ, რომ მიიღეს ე. მეტრეველის წარდგინება ზ. სხირტლაძის სტიპენდიატად ჩარიცხვის თაობაზე და პასუხს შეატყობინებენ.

1990 წ. 7 ნოემბერი, ვაშინგტონი, ინგლისურ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ., 1 კ.

164. საერთაშორისო სიმპოზიუმის „საქართველოს ებრაელები და საქართველო-პალესტინის ურთიერთობები“ მოსაწვევი ბარათი პროგრამით ე. მეტრეველის სახელზე. პლენარული მოხსენება – ე. მეტრეველი „შუა საუკუნეების პალესტინაში ქართველთა მოღვაწეობის რუკის შედგენის საკითხისათვის“.

1990 წ. 11-12 დეკემბერი, იერუსალიმი, თბილისი, 1 ცალი, 1 კ.

165. ე. მეტრეველის წერილი [ბ. გენისადმი]. პასუხი 1990 წლის 13. 11. ცირკულარულ წერილზე.

უგზავნის შრომების სიას. სწერს, რომ შესატანის გადახდა არ შეუძლია, რადგან საბჭოთა ფული არაკონვერტირებადია.

1990 წ. 24 დეკემბერი, მონტინი-ლე-მეძი, ფრანგულ ენაზე, ნაბეჭდი, ასლი, 1 ფ.

166. ე. მეტრეველის მიერ შედგენილი გეგმა კ. ლერნერისთვის იერუსალიმის სომხურ საპატრიარქოში სამუშაოდ. აქვს ე. მეტრეველის მინაწერი: „ 21. 07. 1990. გადავეცი კოტე ლერნერს, რომელიც მიდის იერუსალიმში სამუშაოდ “.

პირი: ბ. უტიე, გ. პატარაია, მ. სტოუნი.

1990 წ. 21 ივლისი, ავტოგრაფი, 2 ფ.

167. საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი, გაცემული ე. მეტრეველის სახელზე. ხელს აწერენ პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე და პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

1990 წ. თბილისი, ქართულ და რუსულ ენებზე, 1 სიგელი.

168. საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რუსული ენის ინსტიტუტის მიმართვა ე. მეტრეველს.

აცნობებენ, რომ ინსტიტუტი 1991 წლის ბოლოს აწყობს სამეცნიერო კონფერენციას. სთხოვენ კონფერენციაში მონაწილეობის მიღებას.

ტოპონიმი: მოსკოვი, თბილისი.

1991 წ. იანვარი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ., 1 კ.

169. საქართველოს ომის, შრომის და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა რესპუბლიკური ორგანიზაციის მონაწილეობა (№1879), გაცემული ე. მეტრეველის სახელზე.

1991 წ. 2 მაისი, 1 ცალი.

170. პოლ კარდინალ პუპარის (Paul Cardinal Poupard) მიმართვა ე. მეტრეველს.

აცნობებს, რომ კულტურის საბჭო 1991 წლის 28-31 ოქტომბერს ვატიკანში ევროპის კულტურული სამყაროს წარმომადგენელთა მონაწილეობით აწყობს სიმპოზიუმს. იწვევს ამ სიმპოზიუმში მონაწილეობის მისაღებად. ახლავს სიმპოზიუმის მუშაობის პროექტი.

1991 წ. 8 მაისი, ვატიკანი, რუსულ და ფრანგულ ენებზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 6 ფ., 1 კ.

171. პოლ კარდინალ პუპარის წერილი ე. მეტრეველს.

1991 წლის 28-31 ოქტომბერს იწვევს ვატიკანში სიმპოზიუმზე „ქრისტიანობა და კულტურა ევროპაში“.

1991 წ. 12 ივლისი, ვატიკანი, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 2 ფ.

172. გ. სარქისიანის მიმართვა ე. მეტრეველს.

